მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს სხდომის
ოქმი №15

ქ.მარტვილი 23 დეკემბერი, 2022 წელი

სხდომა დაიწყო 12[00] საათზე, დამთავრდა 14[00] საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ: ლევან სურმავა, ელდარი თოდუა, კობა დარჯანია, კახაბერ ჯგერენაია, ზურაბ მელიავა, შალვა ბახია, ელიზბარ ახვლედიანი, ნათია ბჟალავა, ვლადიმერ დანელია, აკაკი ხუნწელია.
სხდომას ასევე ესწრებოდნენ; სიმონ რევია–მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ქონების მართვისა და სტატისტიკის სამსახურის უფროსი, ბონდო თოფურია, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო–საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ/, საკრებულოს აპარატის თანამშრომლები და სხვა დაინტერესებული პირები.

სხდომას თავმჯდომარეობდა: საკრებულოს თავმჯდომარე ლევან სურმავა.

დღის წესრიგი:

1.მარტვილის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი–ლევან სურმავა, საკრებულოს თავმჯდომარე./

2. მარტვილის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი–ლევან სურმავა, საკრებულოს თავმჯდომარე./

3. „მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი–ლევან სურმავა, საკრებულოს თავმჯდომარე./

4. ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე" მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 ნოემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

/მომხსენებელი-ლევან სურმავა, საკრებულოს თავმჯდომარე/

5. ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ" მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 მაისის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი-ლევან სურმავა, საკრებულოს თავმჯდომარე/

6. მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიაში დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;

/მომხსენებელი–ლევან სურმავა, საკრებულოს თავმჯდომარე./

7. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის თავმჯდომარისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;

/მომხსენებელი-ლევან სურმავა, საკრებულოს თავმჯდომარე/

8. ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებისა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა ფიჭური სატელეფონო მომსახურებით სარგებლობის ლიმიტის განსაზღვრისა და საწვავის გამოყოფის თაობაზე" მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 თებერვლის №21 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი-ლევან სურმავა, საკრებულოს თავმჯდომარე/

პირველი საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა ბიუროს 10–მა წევრმა.

მოისმინეს1. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ლევან სურმავას მოხსენება, მარტვილის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელმა ბიუროს წევრებს განუმარტა, რომ მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილ მარტვილის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულია მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N78 განკარგულებაში მითითებული შენიშვნები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

სხდომის თავმჯდომარემ ლევან სურმავამ ბიუროს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითთან დაკავშირებით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა მარტვილის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ საკითხის საკრებულოს დღის წესრიგის პროექტში შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 10. წინააღმდეგი 0.
ბიურომ გადაწყვიტა: მარტვილის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ საკითხი შეტანილ იქნას საკრებულოს დღის წესრიგის პროექტში.

მეორე საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა ბიუროს 10–მა წევრმა.
მოისმინეს 2. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ლევან სურმავას მოხსენება მარტვილის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ;

მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო აღნიშნული საკითხი და აღნიშნა რომ ამ კუთხით წარმოდგენილია გარკვეული ცვლილებები კერძოდ: 100 წლის და 100 წელს გადაცილებულ ხანდაზმულთა ერთჯერადი დახმარება განისაზღვრა 2000 ლარით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 18 წლამდე ბავშვთა ერთჯერადი დახმარება განისაზღვრა 500 ლარით, ობოლი ბავშვების ერთჯერადი დახმარება განისაზღვრა: 18 წლამდე ობოლისთვის 500 ლარით, დედ–მამით ობოლისთვის 1000 ლარით, 2008 წლის რუსეთ–საქართველოს ომში დაღუპული ჯარისკაცისა და 9 აპრილს დაღუპულის ოჯახისთვის ერთჯერადად 1000 ლარით, სხდომის თავმჯდომარემ ლევან სურმავამ ბიუროს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითთან დაკავშირებით.
ელდარ თოდუამ აღნიშნა რომ ის მიესალმება აღნიშნულ ცვლილებებს,მარტვილის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი ამ კუთხით უფრო ეფექტურია სხვა უფრო დიდ ბიუჯეტიანი მუნიციპალიტეტებთან შედარებით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა მარტვილის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ

საკითხის საკრებულოს დღის წესრიგის პროექტში შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 10. წინააღმდეგი 0.

ბიურომ გადაწყვიტა: მარტვილის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ საკითხი შეტანილ იქნას საკრებულოს დღის წესრიგის პროექტში.

მესამე საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა ბიუროს 10–მა წევრმა

მოისმინეს 3. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ლევან სურმავას მოხსენება, ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ" მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ინიცირებული განკარგულების პროექტი, ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ" მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე და სხდომის თავმჯდომარემ ლევან სურმავამ ბიუროს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითთან დაკავშირებით.
აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.
სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ" მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის **№40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკითხის საკრებულოს დღის** წესრიგის პროექტში შეტანასთან დაკავშირებით.
კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 9. წინააღმდეგი 0.

ბიურომ გადაწყვიტა: ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ"

მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკითხი შეტანილ იქნას საკრებულოს დღის წესრიგის პროექტში.

მეოთხე საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა ბიუროს 10–მა წევრმა

მოისმინეს 4. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ლევან სურმავას მოხსენება, „მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე" მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 ნოემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობათა რანგები, თანამდებობრივი სარგოების ოდენობები და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხა.

სხდომის თავმჯდომარემ ლევან სურმავამ ბიუროს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითთან დაკავშირებით.
აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე" მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 ნოემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის საკრებულოს დღის წესრიგის პროექტში შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 10. წინააღმდეგი 0.

ბიურომ გადაწყვიტა: „მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე" მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 ნოემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი შეტანილ იქნას საკრებულოს დღის წესრიგის პროექტში.

მე–5 საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა ბიუროს 10–მა წევრმა

მოისმინეს 5. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ლევან სურმავას მოხსენება „მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ" მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 მაისის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო აღნიშნული საკითხი და აღნიშნა, რომ საკითხი ეხებოდა საკრებულოს წევრის მიერ ცალკეული დავალებების შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ზღვრული ოდენობის თვეში 720 ლარით განსაზღვრას და სთხოვა ბიუროს წევრებს აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ" მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 მაისის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკითხის საკრებულოს დღის წესრიგის პროექტში შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 10. წინააღმდეგი 0.

ბიურომ გადაწყვიტა: „მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ" მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 მაისის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკითხი შეტანილ იქნას საკრებულოს დღის წესრიგის პროექტში.

მე–6 საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა ბიუროს 10–მა წევრმა

მოისმინეს 6. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ლევან სურმავას მოხსენება, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიაში დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;

მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო, მარტვილის მერის მიერ წარმოდგენილი ნუსხა მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიაში დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის

დაშვებაზე, კერძოდ: დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით გათვალიწინებულ 15 პოზიციიდან 7 ერთეულზე მეტით გათვალისწინებულ 8 პოზიციაზე.

1. მერის მდივანი–1 პოზიცია.
2. მერის მძღოლი–1 პოზიცია.
3. ბავშვის ფსიქოლოგი–1 პოზიცია.
4. კონსულტანტი მერის წარმომადგენლებთან კოორდინაციის საკითხებში–1 პოზიცია.
5. კომპიუტერული ტექნიკის მხარდაჭერის სპეციალისტი–1 პოზიცია.
6. სამორიგეო ავტომანქანის მძღოლი–1 პოზიცია.
7. კონსულტანტი, ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის საკითხებში–2 პოზიცია.

სხდომის თავმჯდომარემ ლევან სურმავამ ბიუროს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითთან დაკავშირებით.
აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიაში დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ საკითხის საკრებულოს დღის წესრიგის პროექტში შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 9. წინააღმდეგი 0.
ბიურომ გადაწყვიტა: მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიაში დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ საკითხი შეტანილ იქნას საკრებულოს დღის წესრიგის პროექტში.

მე–7 საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა ბიუროს 10–მა წევრმა.
მოისმინეს 7. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ლევან სურმავას მოხსენება, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის თავმჯდომარისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;

მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი და ბიუროს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის თავმჯდომარისთვის თანხმობის მიცემის შესახებ საკითხის საკრებულოს დღის წესრიგის პროექტში შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 10. წინააღმდეგი 0.
ბიურომ გადაწყვიტა: მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის თავმჯდომარისთვის თანხმობის მიცემის შესახებ საკითხი შეტანილ იქნას საკრებულოს დღის წესრიგის პროექტში.

მე–8 საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა ბიუროს 10–მა წევრმა.
მოისმინეს 8. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ლევან სურმავას მოხსენება, „მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებისა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა ფიჭური სატელეფონო მომსახურებით სარგებლობის ლიმიტის განსაზღვრისა და საწვავის გამოყოფის თაობაზე" მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 თებერვლის №21 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებისა და საკრებულოს აპარატის უფროსის საწვავის ლიმიტი და

ბიუროს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითთან დაკავშირებით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებისა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა ფიჭური სატელეფონო მომსახურებით სარგებლობის ლიმიტის განსაზღვრისა და საწვავის გამოყოფის თაობაზე" მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11

თებერვლის №21 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკითხის საკრებულოს დღის წესრიგის პროექტში შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 10. წინააღმდეგი 0.

ბიურომ გადაწყვიტა: „მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებისა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა ფიჭური სატელეფონო მომსახურებით სარგებლობის ლიმიტის განსაზღვრისა და საწვავის გამოყოფის თაობაზე" მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 თებერვლის №21 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკითხი შეტანილ იქნას საკრებულოს დღის წესრიგის პროექტში.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე: ლევან სურმავა